ხარასკევი, 7 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 270

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

**დილით** ✦ **ქართული წარმოდგენა არტისტიულ საზ. თეატრში** ✦ **დილით**

კვირას, 8 დეკემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**იაფ-ფასიანი წარმოდგენა**

ახალი ორიგინალური პიესა სვიმონ ყიფიანისა

## სოფელში

სცენები 4 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანდრონიკაშვილი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ. ნებიერიძისა, ე. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.

მორიგე წევრი გამგეობისა **თავ. ნიკ. ერისთავი.** რეჟისორი **ვ. გუნია.**

---

ბავშვთა იაფ-ფასიანი და უზრუნველ-ყოფილ აღზრდა-განათლების სამზრუნველოს სასარგებლოდ გამართული იქნება კვირას, 16 დეკემბერს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში

## დიდი სეირნობა

ლატარია-ალლეგრით.

საშობაო დიდი ფერხული: „ყინვას პაპა", ანგელოზები, მტრედები, პეიზანები, პეიზაკები, კლოუნები, ალქაჯები, ბადიანები და სხვა და სხვა. **მკითხველს ფეშქაშები.** ხორო მომღერალთა, ბალალაიკების, მერიკის და მანდოლინებისა. „კოტუკი" გრამოფონი. გაიყიდება კონფეტები, ყვავილები, კონფიქტები, ფისტა და ბუფეტი. (5-1)

---

## „ტფილისის სობრანიე"

**მამასახლისთა საბჭო „ტფილისის სობრანიესი"** იწვევს იმ პირთ, რომელთაც სურთ იკისრონ სობრანიეს სახაზინო სადგომის გაობოპა შეშით. განცხადებანი მიიღება მამასახლისთა საბჭოს სახელზედ ამა წლის 15 დეკემბრამდე. პირობების გაგება შეიძლება „ტფილის სობრანიეს" კანტორაში. (3—480—1)

---

## „ახალშენი"-ს კომისია

ამით აცხადებს თავის ხელის მომწერთ, რომ მაკაროვების ადგილებში 20 დეკემბრამდის თვიური ხვედრი ფული შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში 7-ს იანვარს 1908 წელს გაიყიდება სამოსახლოები (20 დეკემბრიდან იანვრის 7-დინ კანტორა დაკეტილი იქნება). (1—482—1)

---

## იყიდება მშვენიერი ბაღი

6500 ოთხ კუთხედი საჟენი, საბურთალო, იკითხეთ ქვემო აღნიშნულ ადგილზე.

გაბაევის ადგილებში ხელის მომწერთ ამით უცხადებთ, რომ ხვედრი ფული შემოიტანონ 20 დეკემბრამდის; წინააღმდეგ შემთხვევაში შემოტანილი ფული უკან აღარ დაუბრუნდებათ და ადგილები 7-ს იანვრიდან 1908 წელსა გაიყიდება. ვისაც ენდომება ადგილების შეძენა, ვთხოვთ მობრძანდნენ აღნიშნულ დღეს. კანტორა გადმოტანილია „ახალშენი"-ს კანტორაში, პუშკინის ქუჩაზედ, პუშკინის პასაჟში, № 22 (20 დეკემბრიდან იანვრის 7-მდე კანტორა დაკეტილი იქნება.

(1—482—1) **გაბაშვილები და ბ. ტერონოვი.**

---

## კომისსია ფარსადანოვის ადგილებისა

ამით უცხადებს ყველა იმ ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომელთაც უნდათ თავიანთი ადგილები ჩაიბარონ, მიმართონ კომისსიას ახალშენის კანტორაში (პუშკინის ქუჩა, № 22). ჯერ არ შემოუტანიათ და არ დაუმტკიცებიათ შემდეგ პირებს:

| | |
|---|---|
| 1) რუხაძე ალ. | 7) კაციტაძე მ. |
| 2) მზარეულოვი ლიზა. | 8) ბურდული დათიკო. |
| 3) ჩიჩინაძე სერგეი. | 9) ნაკაიძე არტემ. |
| 4) ზალიევ. | 10) ყიფიანი ილია. |
| 5) გამრეკელი ელისაბედ. | 11) ცარიკოვსკი. |
| 6) ქართველიშვილი თემურაზ. | 12) ოქროპირიძე მ. პ. |

თუ ზემოხსენებული პირები არ შემოიტანენ დეკემბრის 15-ს, იძულებული გავხდებით, ჩვენ შორის დადებულ პირობის ძალით, ადგილები გავყიდოთ და შემოტანილი ფული უკან აღარავის დაუბრუნოთ. (1—482—1)

---

## თამბაქოს ქარხანა

საქ. საზ. **„მირისა"** ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

## არომატ

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. ✦:✦:✦:✦:✦ 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—15)

---

## კახური ღვინო

პირველ ოქტომბრიდან ახლად გაიხსნა **კახური ღვინის სარდაფი** კახელ მევენახეთა

### თავ. ჯანდიერისა და ა. რღუთინსკი-მხარგრძელისა,

სადაც ღვინის მომხმარებელთ ზომიერ ფასად შეუძლიანთ მიიღონ ნამდვილი კახური საუკეთესო ღვინო, ნამდვილი ყურძნის ნაწური. დარწმუნებულნი ვართ, რომ მომხმარებელნი კმაყოფილნი დარჩნენ.

სარდაფი მდებარეობს ქალაქ ტფილისში, ველიამინოვის ქუჩაზედ, აირუმოვის სახლში, № 7 „ველის ციხე".

უმორჩილესად ვთხოვთ ღვინის მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ ეტიკეტს. (21—343—17)

---

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

დაბრუნდა ტფილისში და განაახლა კბილით ავადმყოფებთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს ახალ ბინაზე რაზიეჟი ქუჩაზე, № 11, სახლი ბაბალოვისა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 9—2 ს. და 4—7 ს. (25—407—24)

---

კბილის ექიმი

**ბალარჯაშვილი-მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, საღ. 5—7 ს. ადრესი: ძიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—19)

---

**ქუთაისში**

კბილის ექიმი ქალი

**ე. დ. ნახარიძე**

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

---

მედიცინის დოქტორი

**მ. ი. მურადოვი,**

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—17)

---

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ჯაფარიძე**

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (50—5.—28)

---

**ქუთაისში**

კბილის ექიმი

**ს. ი. კერესელიძე**

გადავიდა **გეგუთის ქუჩაზე** პ. რუხაძის სახლში, (15—6—7)

---

ექიმი

**ი. მამაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

---

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—3)

---

ექიმი

**ი. ი. გოკიელი**

სპეციალისტი: **ვენერიულ სიფილისის, კანის და ნერვების სისუსტის** ავადმყოფობისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5½—7½ ს. მიხაილოვის ქუჩა. № 113 ვეტცელის სასტუმროს გვერდით. (25—406—24)

---

ექიმი

**მ. ხ. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლღას ქუჩა, № 25- (0—241)

---

**ქ. თელავში**

ექიმი

**ნ. გ. მრევლოვი,**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად ძმობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—21)

---

ექიმი

**გ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვების**, სპეციალური ექიმი **ყურის და ნაწლევების.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ქავქანიძისა (25—წლ.

---

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისის და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უოპერაციოდ **პროფ. ზაერის** მეტოდით. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—თ.—29)

---

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

---

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—5.—53)

---

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის" სასტუმროს პირდაპირ. (50—385—35)

---

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**

**რუდნევი**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

**რიდელი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე 1½—3 საათ.

**იანჩევსკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ახპატოვი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე 12½—1½ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

**ოთხუდიანიცი**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

**ზილოვსკი**—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

**გორადოვიჩი**—შინაგ. ყოველ დღე 11½—1½ საათ.

**ანაევი**—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.

**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

**ნევზოროვი**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

**გორობეცოვა**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს.

**პიკარსკი**—, **ჩუდნოვსკი**— კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—68)

---

**ტფილისელ ვაჭართა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების** გამგეობა, წესდების მე-34 მუხლის ძალით, სთხოვს საზოგ—ბის წევრებს მობრძანდნენ

**საგანგებო საზაგადო**

## კრებაზე

9 დეკემბერს, დილის 11 საათზე ტფილისის საკრებულოში („სობრანიე") განსახილველი საგნები: 1) საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ხარჯთა-აღრიცხვა სარევიზიო კომისიის მოხსენებით; 2) არჩევა შემოწირულების შემკრებ კომისიას; 3) მიმდინარე საქმეები. შენიშვნა: კრებაზე შესვლის დროს საზოგადოების წევრებმა უნდა წარმოადგინონ წევრობის ბილეთი. ვისაც ბილეთი არა აქვს, შეუძლიან შეიძინოს კრების დაწყებამდე საზოგადოების დროებით ხაზინადართან ს. არუთინოვთან (სომხ. ბაზარი), ხოლო კრების დღეს კრების დარბაზის შესავალში. კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (2—483—1)

---

## სამზრუნველო საბჭო

**ტფილისის ნოქართა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების** სავაჭრო კლასების ატყობინებს კლასების ნაშაგირდალებს და სასწავლებელში შემოსვლის მსურველთ, რომ კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 10 დეკემბერს. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სოძხურ „ტ. ბ.-ტაკი"-ს სურბ ნიშანის საეკლესიო სკოლაში საღამოს 6 საათ. 9 საათამდე. (3—481—1)

---

წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა აუწყებს ამით „საზოგადოების" წევრებს, რომ წესდების მე-11 მუხლის ძალით, ვინც დეკემბრის დამლევამდის არ გადაიხდის

## საწევრო გადასახადს,

მომავალ წლიდან ჩამოერთმევა წევრობა.

## პორტ-არტურის გმირები

(გაგრძელება *)

**გენერლების ურთიერთობა.** როგორც ზევითაც ვნახეთ, პორტ-არტურის დამცველ გენერლებს შორის მუდამ უთანხმოება ჰსუფევდა. უპრალო ქონით გატაცებული გენერალი არა თუ არ შველის, მეორეს, განზრახ საქმესაც უფუჭებს; ერთმანეთის სასაცილოდ აგდება, ერთმანეთის საწინააღმდეგო განკარგულებათა გამოცემა, ბრძანებათა არ ასრულება ჩვეულებრივი იყო პორტ-არტურში და აღარავის არ აკვირვებდა...

ცინჯოუს ალეის შემდეგ იაპონელებმა წინ გაირეკეს გენ. ფოკი, დაიპყრეს დაგუშანისა და სიაოგუშანის პოზიციები და ძიადგნენ პორტ-არტურის პირველ რიგის სიმაგრეებს. უნიჭო ფოკს გენ. სმირნოვმა პორტ-არტურის წინ სიმაგრეების დაცვის საქმე ჩამოართვა და რეზერვები ჩააბარა. 7 აგვისტოს იაპონელებმა ზარბაზნები დაუშინეს ფორტებს № 1 და 4, აგრეთვე კუმირსკი და ვოდოპროვდნი რედუტებს. ამ სიმაგრეთა დაცვას ხელმძღვანელობდა თვით კომენდანტი გენ. სმირნოვი. სროლის შემდეგ იაპონელებმა სასტიკი იერიში მიიტანეს ამ სიმაგრეებსე, მაგრამ პირველად უკუგდებულ იქნენ. გენ. სმირნოვი დარწმუნდა, რომ დიდხანს თავის ძალებით მამაც მტერს ვეღარ გაუძლებს და ამიტომ ფოკს ბრძანება გაუგზავნა, ეხლავ მე-14 პოლკით ვოდოპროვოდნი რედუტთან გამოდიო. გაჯავრებულმა ფოკმა, ბრძანების ასრულების ნაცვლად, დიდი ეპისტოლე გაუგზავნა სმირნოვს, რომელშიაც უმტკიცებდა, იმ რედუტთან ჯარის დაყენება სრულიად საჭირო არ არაო. გენ. სმირნოვი ამ დროს ბრძოლას ხელმძღვანელობდა და მშველელ ჯარის მაგიერ დიდი ბარათი მიართვეს!.. აგვისტოს 15-მდე იაპონელებმა აიღეს ხსენებული სიმაგრეები და უფრო ახლო შემოარტყეს ალყა ციხეს. რუსებმა ყველა სარეზერვო ძალები გამოიყვანეს ამ დღეებში ბრძოლის ველზე და ბოლოს ისინი გენ. სმირნოვმა ჩაიბარა. ამგვარად გენ. ფოკი უსაქმოდ დარჩა და... გაზეთის გამოცემა დაიწყო. დადიოდა ფორტებზე, ყველგან ეჩხირებოდა და მერე ადგენდა „შენიშვნებს", ჰბეჭდავდა და უგზავნიდა ყველა უფროს აფიცრებს. „შენიშვნებში" გენერალი სასტიკად ჰკიცხავდა თავის ამხანაგთ, ყველაფერს იწუნებდა, ყველას მკაცრად იხიენიებდა. მაგრამ დიდის ჭკუისა და განათლების პატრონი არ იყო და ამიტომ მისი „შენიშვნები" უფრო წვრიმალს რასმეს ეხებოდა და უმეტეს შემთხვევაში უსამართლოდ ეკიდებოდა. ამ „შენიშვნებს" უფრო მეტი არევ-დარევა შეჰქონდათ ისედაც საკმაოდ არეულ საქმეში, მაგრამ სტესსელი ხმას არ იღებდა და, პირიქით, თითქო ხელსაც უწყობდა მოლიტერატურე გენერალს, რომელიც სტესსელის „მტრებს" სამასხაროდ იღებდა...

**წინა სიმაგრეების აღება.** სანამ პორტ-არტურში გენერლები ერთმანეთს სჭამდნენ, საცოდავი, ნახევრად მშიერი და ტიტველი ჯარის კაცნი რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, იბრძოდნენ პორტ-არტურის წინა სიმაგრეების დასაცველად. უფროს სარდლებიდან მათთან უფრო ხშირად სწევდა თითქმის ერთად-ერთი გენ. კონდრატენკო. ყოველ ფორტს იგი გამაგრებით იცავდა და იყო დიდ გაჭირვებაში, რადგან პორტ-არტურიდან ხელს არავინ არ უწყობდა: ჯარებს სურსათი აკლდათ, ხშირად საომარი მასალაც არ ყოფნიდათ, მაშინ როდესაც პორტ-არტურში საწყობები სავსე იყო ყველაფრით. დეკემბრის პირველსავე რიცხვებში სტესსელს უკვე დაჰბადებია აზრი კაპიტულიაციის შესახებ, შტაბიც დარწმუნებული ყოფილა, რომ ციხის დღეები დათვლილია, მიუხე-

*) იხ. „ისარი" № 269.

დავად ამისა ჯარებს, დასნეულებულსა და დაუძლურებულს ჯარის კაცთ „შემცირებულ“ პორციებს აძლევდნენ და შიმშილით ჰკლავდნენ. ეს იმ დროს, როცა ჯარს ერთი წუთი მოსვენება არ ჰქონდა... დეკემბრის პირველ რიცხვებში, ერთის ფორტის აღების დროს, მოკლულ იქმნა გენ. კონდრატენკო; მის ნაცვლად ციხის წინა სიმაგრეების დამცველად სტესსელმა დანიშნა გენ. ფოკი. ამ დროს იაპონელები დიდის მეცადინობით იპყრობდნენ ფორტს № 2. ამ სიმაგრის დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პორტ-არტურისათვის და მით აიხსნება გენ. კონდრატენკოს გამწარება, რომლით ის ამ ფორტს იცავდა. თავის დანიშვნის მეორე დღესვე გენ. ფოკმა უბრძანა გარნიზონს დაეცალა ფორტი № 2 და აეფეთქებინა იგი. როგორც კი ეს ბრძანება იქმნა ასრულებული, თითქმის ყველა მახლობელ ფორტებიდან შემოუთვალეს ფოკს, რომ სიმაგრის № 2—ის დაკარგვის შემდეგ, სხვა მახლობელ სიმაგრეების დაცვა აღარ შეიძლება, რომ იაპონელები სხვა და სხვა მხრიდან უშენენ გარნიზონს ყუმბარებს და ჯარისკაცნი ტყუილად იხოცებიანო. ფოკი გაცხარდა და უბრძანა ყველას—არამც და არამც თავი არ დაანებოთ მაგ სიმაგრეებსაო. ის ფორტი, როიელიც ამ სიმაგრეებს ჰფარავდა, დააცლევინა და ააფეთქებინა, ხოლო გასაჭირში ჩავარდნილ სიმაგრეების დაცლის ნება არ მისცა, რა იყო ეს: პირდაპირი ღალატი თუ უმეცრება! გენ. სმირნოვს ჰგონებია, რომ ეს ღალატი იყოო. გამოძიებაზე მას პირდაპირ განუცხადებია: „5 დეკემბრიდან დავრწმუნდი, რომ სტესელს და ფოკს შეთანხმება ჰქონდათ ურთი-ერთში და შეთანხმების მიზნად დაესახათ: ისეთს ყოფაში ჩაეგდოთ პორტ-არტური, რომ მისი დაცვა შეუძლებელი გაეხადათ“. მიუხედავად ასეთის რწმენისა, გენ. სმირნოვი, ციხის კომენდანტი, რომელიც უმთავრესი პასუხისმგებელია კანონის წინაშე, არავითარ ღონეს არ ღონობს „მოღალატეთა“ წინააღმდეგ და განაგრძობს მათ ბრძანებათა ასრულებას!.. ორის კვირის განმავლობაში იაპონელებმა სულ აიღეს წინა სიმაგრეები, მათ შორის ისეთი დიდმნიშვნელოვანიც, როგორიც იყვნენ „ვისოკაია გორა“, „ბოლშ. ორლინ. გნეზდო“ და სხვანი.

**სამხედრო თათბირი**. ამ კრიტიკულ დღეებში სტესსელს შეუგროვებია სამხედრო თათბირი, რასაც კანონი მოითხოვს პირდაპირ (უამისოდ ციხის გადაცემა მტრისთვის აკრძალულია). თათბირზე თვითონ არ გამოცხადებულა და იმის მაგიერ პოლკოვნიკ რეისს დაუყენებია საკითხი: რა დრომდის უნდა ვიბრძოლოთ; არა სჯობს ეხლავ გადავცეთ ციხე, რათა ქალაქში შემოსევა და ქუჩებში სისხლის ღვრა თავიდან ავიცდინოთო. ყველა დამსწრეთ უთქვამთ, რომ ჯერ ასეთი დრო არ დამდგარაო... რამდენისამე დღის შემდეგ, სახელდობრ 16 დეკემბერს, სტესსელს ხელმეორედ დაუნიშნავს კრება, რომელსაც თვითონ დასწრებია და აღუძრავს ზემოხსენებული საკითხი. ყოველმხრით განუხილავთ და დიდი უმრავლესობა იმ აზრს დასდგომია, რომ მიუხედავად დიდის გაჭირვებისა ჯერ ციხის გადაცემა შეუძლებელია, ჯერ კიდევ შეიძლება გამაგრება დარჩენილ წინა სიმაგრეებზე, სურსათიც და საომარი მასალაც არის საკმარისი. ერთი სიტყვით, მაშინ საქმეთა მდგომარეობა ისეთი იყო, რომ იმ პირთ, რომელნიც ხელმწიფესაც და მთელ ქვეყანასაც არწმუნებდნენ „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“ ვიბრძოლებთო, არავითარი ნება არ ჰქონდათ კაპიტულიაციაზე ეფიქრნათ: ობიექტიური პირობები შესაძლებლად ჰყოფდნენ ციხის დაცვას კიდევ ერთის თვის განმავლობაში მაინც. ამიტომ კრებამ, ყველა ხმით წინააღმდეგ მხოლოდ სამისა, დაადგინა განაგრძონ დაცვა. სტესსელმა დიდის ამბით მადლობა გადაუხადა კრებას და განაცხადა: დავიცვათ დარჩენილი წინა სიმაგრეები, შემდეგ მეორე ლინიაზე ვიბრძოლოთ, ბოლოს ქალაქის წინა უბანიც არ დაუთმოთ უბრძოლველადაო და მხოლოდ ამის შემდეგ ვიქონიოთ მსჯელობა კაპიტულიაციაზეო. კრება დაიშალა იმ აზრით, რომ დაცვა განაგრძონ. მაგრამ სტესსელი მიდის სახლში და იმ წამსვე უგზავნის ხელმწიფეს დეპეშას, პორტ-არტური მხოლოდ ორ-სამ დღეს გასძლებსო, ყოველი ძალღონე შევაკალითო, აღარც სურსათი და მასალა გვყოფნისო, ჯარი დანახევრდა და ეს ნახევარიც აჩრდილს დაემზგავსაო და სხვა და სხვა. მისი მეუღლე იმ წამსვე იბარებს ზეინკლებსა და მუშებს და იწყებს ბარგის შეკვრას; სტესსელი კაბინეტში ზის ერთი დღე და სწერს თუ ასწორებს გენერალ ნოგისთან გასაგზავნ წერილს. 19 დეკემბერს, შუადღისას, ე. ი. ზემოხსენებულ კრების მესამე დღეს, როცა ჯარები მიღებულ დადგენილების თანახმად, გამაგრებით იბრძვიან წინა სიმაგრეებზე და იაპონელები დიდ მზადებას შეუდგნენ „კიტაისკი კრეპოსტ“-ის და „კუროპატკინის სიმაგრის“ ასაღებად, აგრეთვე თვით ციხისათვის ალყის შემოსარტყმელად, სტესსელი უკვე პარლამენტიორებს ჰგზავნის გენ. ნოგისთან.

(დასასრული იქნება)

# პრუსიის პოლონეთის ექსპროპრიაცია.

თუ აქამდის ძნელი გადასაწყვეტი იყო კითხვა: რომელი გადააჭარბებს ტანჯვაებით—პრუსიისა თუ რუსეთის პოლონეთი, პრუსიის პოლონეთი თუ რუსეთის ურიცხვი დამონებული ერები, დღეს ან—უკეთ რომა ვთქვათ—ამ ახლო მომავალში, თუ განხორციელდა ყველა ის, რასაც პრუსიის და მთელის გერმანიზმის შოვინიზმი პოლონეთს უპირებს,—ამ კითხვაზე პასუხი თავისთავად ცხადი იქნება. თუ აქამდის ამ კითხვის დასმა მხოლოდ რელატივობის გულისხმობით შეიძლებოდა, ესე იგი ერთი მეორესთან შედარება დამონებულ ერების მდგომარეობათა დამმონებელ სახელმწიფოთა საზოგადო პოლიტიკურ წყობილებათა შედარებისდა მიხედვით, ამიერიდან, თუ პრუსია-გერმანიის შოვინიზმის ოინები განხორციელდა, ლაპ რაკი შეიძლება აბსოლუტურად, და ცხადზე უცხადესია, რომ ეს „აბსოლუტური“ ილაპარაკებს არა პრუსიის პოლონეთის სასარგებლოდ.

საქმე შეეხება ორ კანონ-პროექტს, რომელიც იმპერიის კანცლერმა და პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტმა ბიულოვმა წარუდგინა ერთი რაიხსტაგს, ხოლო მეორე პრუსიის ლანდტაგს. პირველი კანონ პროექტი, რაიხსტაგში წარდგენილი, შეეხება კრებებსა და კავშირებს და მთელ იმპერიაზე ვრცელდება; მაგრამ ერთ მუხლს, § 7 ამ კანონ-პროექტისას, პირდაპირ პოლონელები ჰყავს მიზანში ამოღებული; იგი ამბობს: „ყოველნაირი საჯარო კრება უნდა სწარმოებდეს გერმანულ ენაზე“, წინააღმდეგ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, კრება დაიხურებაო. თუმცა ამ მუხლს მთავრობა ერთ კუდს აბამს, რომელმაც ვითომ უნდა შეამსუბუქოს კანონის სისასტიკე, სახელდობრ: ადგილობრივ ცენტრალურ მთავრობებისაგან განსაკუთრებულის ნებართვის აღებით შეიძლება კრება არა გერმანულ ენაზედაც სწარმოებდესო, მაგრამ ბრმისთვისაც-კი ცხადია, რომ ეს მხოლოდ ხრიკია მთავრობისა, რომლითაც სურს გაუადვილოს თავის პარტიას, „კონსერვატიულ-ლიბერალიურ რეაქციონურ-დემოკრატულ“ ბლოკს ამ კანონ-პროექტის მიღება; თორემ პრუსიის პოლონეთში რომ კრებების პოლონურ ენაზე გამართვის ნებას არ დართავენ—ეს ცხადზე უცხადესია.

მაგრამ კანონ-პროექტი უმანკო კრავია მეორე კანონ-პროექტთან შედარებით, რომელიც პრუსიის ლანდტაგს წარუდგინა და რომელსაც თვით მთავრობა გამოყოფის (отчужденіе) პროექტს უწოდებს. აი რა ხილია ეს პროექტი: სადაც ამას „საჭიროება მოითხოვს“, მთავრობის ეგრედ წოდებულ „საახალშენო კომისიას“, რომელიც პოლონეთში მოქმედებს, ნება ეძლევა პოლონეთის ადგილის გამოყოფისა, ესე იგი ექსპროპრიაციისა, ამასთან გამოსაყოფ ადგილის ფასი, რა თქმა უნდა, „სამართლიანი“, უნდა დაადოს ხოლმე „მიუდგომელ“ ადამიანთა კომისიამ. აი ამ „საახალშენო კომისიის“ ნაყოფიერ „კულტურულ“ მუშაობისათვის მთავრობა თხოულობს 400 მილიონ მარკიან თანხას.

ეს კანონ-პროექტი საკვირველებაა, იმის მსგავსს ვერ შეჰხვდებით ევროპის უფლებრივ სახელმწიფოთა ახალ ისტორიაში. უკიდურეს ზომებს დამონებულ ერთა მიმართ ყოველი სახელმწიფო ხმარობს; არ იხევენ ექსპროპრიაციის წინაშეც: მთელი დღევანდელი კოლონიალური პოლიტიკა რას წარმოადგენს, თუ არ ერთ დიდ განუწყვეტელ ექსპროპრიაციას? მაგრამ ამ ექსპროპრიატორობის „უფლებას“ სახელმწიფოს დაომება მაინც აძლევს და ისიც სახელმწიფოს კანონებს ზურგს უკან ხდება, მაგრამ როდესაც ექსპროპრიატორულ ზომებს ხმარობენ იმ ხალხის ქონების წინააღმდეგ, რომლის წარმომადგენელნიც უფლებრივი სახელმწიფოს მოქალაქებად ითვლებიან, თუნდაც მარტო ქაღალდზე, თუნდაც კანონის სიტყვით მხოლოდ და ამასთან საკანონმდებლო გზით,—ეს გაუგონარია, უსაკვირველესი რამეა. ეს რაღაც სრულებით ახალია, და პრუსიის კასკას სრული უფლება აქვს იგი თავის იუნკერულ „გენიის“ ქმნილებად ჩასთვალოს და ვერც ვინმე შეეცილება ამ უფლებაში.

პრუსიის პოლონეთში გერმანიზატორობა პოლონეთის პირველ გაგლეჯისათანავე იწყება. რაღა ლაპარაკი უნდა, ყოველი გადაგვარების პოლიტიკა ნაძალადევია, მისი ბუნება ძალ-მომრეობაა და პრუსიაშიაც იმ თავითვე დაიწყო ძალ-მომრეობის პოლიტიკა. მაგრამ ძალ-მომრეობაც არის და ძალ-მომრეობაც. დღეს პრუსიის გერმანიზატორული პოლიტიკა თავის განვითარების იმ საფეხურზე სდგება, რომლის ზევითაც აღარავითარი საფეხური აღარ არის. მან იმგვარ წერტილს მიაღწია, რომ იმასთან შედარებით ერის, როგორც ასეთის, გადაგვარების პოლიტიკა უმანკო კრავია მხოლოდ. იგი გადაგვარების პოლიტიკა როდიღაა, იგი პოლიტიკაა დამონებულ ერის კულტურულ და ეკონომიურ განადგურებისა. გერმანიზატორობა იმ სახით, როგორსაც პრუსიის პოლონეთში ვხედავთ, „რკინის“ კანცლერიდან იწყება, როგორც იმისგანვე იწყება ყველა ის ობსკურანტულ-რეტროგრადული მარგალიტი, რომელიც დღეს ასე უხვად არის გაბნეული მთელს გერმანიაში და განსაკუთრებით პრუსიაში. „რკინის“ კანცლერმა მიიტანა პირველი იერიში პოლონიზმის „ციხეებზე“, მან მოსპო პოლონურ ენაზე სწავლება პოლონეთის სკოლებში და დასტოვა მხოლოდ სამღვთო სჯულის სწავლება, მაგრამ ამასაც ბოლოს მოუღებდა, რომ არა შინებოდა კლერიკალიზმისა, რომელთანაც მწვავე ბრძოლა ჰქონდა. ბისმარკმა 1886 წელს შეჰქმნა (200 მილიონიან ფონდით) ის „საახალშენო კომისია“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა პრუსიის პოლონეთის ცხოვრებაში. ამ „საახალშენო კომისიამ“ მხნე მუშაობა დაიწყო პოლონიზმის წინააღმდეგ და გერმანიზმის გასავრცელებლად. ეს აუარებელი ფული კომისიას უნდა მოეხმარა პოლონელთაგან ადგილების შესასყიდლად, რომ შემდეგ ეს ადგილები შეღავათიანის პირობებით ეძლია გერმანელ კოლონისტებისათვის, გაეხსნა ფართო კრედიტი ამ კოლონისტებისათვის და შეექმნა მათთვისვე სამეურნეო, ტეხნიკური და სხვა კულტურული დაწესებულებანი. არ გასულა რვა წელიწადი, გამოირკვა, რომ ამ კომისიის საქმე კარგად ვერ მიდის და ახლა თვით „საზოგადოებამ“ დაიწყო მედგარი ბრძოლა პოლონიზმის დასამხობად.

1904 წელს იუნკერებმა და კაპიტალისტებმა შეადგინეს ცალკე საზოგადოება, ეგრედ წოდებული „Ostmarken-verein.“ ამ საზოგადოების ხელში იყო მთელი შოვინისტური პრესსა და ყველგან, პრესსასა და კრებებზე, დაიწყო საშინელი აგიტაცია პოლონელების წინააღმდეგ. მან მიმართა გერმანელების ნაციონალურ გრძნობას, უმტკიცებდა, გერმანიზმს დიდი განსაცდელი მოელის პოლონეთისაგან, რომ პოლონეთი ოცნებობს ძველებურ ძლიერების აღდგენაზე და თუ ეს მოხდა, პოლონეთში დასახლებულ გერმანელებს შეუბრალებლად განდევნიან, წართმევენ ქონებას და ადგილ-მამულსო. მთელი ნაცია უნდა შეერთდეს პოლონელთა ამ მისწრაფების წინააღმდეგ, მთავრობა უნდა მიეშველოს საზოგადოებას და უნდა შემუსროს პოლონური „საფრთხე“; თავი უნდა დაანებოს იმ „ზომიერ“ პოლიტიკას, რომელსაც აქამდის ეწეოდა პოლონეთში და „რაციონალური“ ზომები მიიღოს: აღკვეთოს პოლონური პრესა, სკოლებიდან სულ განდევნოს პოლონური ენა, მოს-

# ფელეტონი

## საწყალი ლევანა

**(სულით ავადმყოფთა თავშესაფარის ზედამხედველის დღიურიდან)**

(დასასრული *)

სამი წლის შემდეგ აიდგა ფეხი ლევანამ. მტირალა, უზნეური და საცოდავი ბავშვი იყო. მუდამ ეცემოდა და იჩხდა ცხვირ-პირს. ახლა მუცლის ტკივილის წამალს აღარ ყიდულობდნენ იმისათვის. მხოლოდ, დაიწყებდა თუ არა ტირილს, მაშინვე სცემდნენ. სცემდნენ გამწარებული სიღარიბით შევიწროებული ძიძა, ბავშვები, ძიძისქმარი, რომელიც ხშირად მთვრალი ბრუნდებოდა სახლში და ყველას შიშის ზარს სცემდა. გამწარებული ბავშვი, რომ გული რამეზედ მოეფხანა, ხევდა ისედაც დაფლეთილ თავის ტანისამოსს და ამისთვის კიდევ უფრო მწარედ სცემდნენ.

ერთხელ, როცა ტანისამოსი დახია, იქე სცემა ძიძის მთვრალმა ქმარმა, რომ შეშინებული ბავშვი სრულიად დაიკრუნჩხა და გონება დაკარგული ფართხალით დაეცა დედამიწაზე.

—ბნედა მოუვარა, ბნედა... ვაი შენ უბედურო ლევანავ, სხვა სიკეთესთან ბნედიანიც ყოფილხარ...—ამბობდნენ მეზობლები და მართლაც ამის შემდეგ შეეშინდებოდა ან აღელდებოდა რამეზე თუ არა, მაშინვე მოუვლიდა ბნედა და რადგანაც ხშირად ღელდებოდა ცემისა და შიშისაგან, ხშირადაც უვლიდა.

რაკი ბავშვი შვიდი წლის გახდება, შესანახ ფულს თავშესაფარიდან აღარ იძლევიან. ლევანას ძიძაც მოუკვდა და სწორედ აქედან დაიწყო იმისათვის აუტანელი, გაჭირვებული ცხოვრება. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ცემისაგან და ბნედისაგან დარეტიანებული საბრალო ბიჭი ამ სიმწვავეს ისე ცხოვლად ვერ გრძნობდა. დარჩა სრულიად უბინაოდ ქუჩაში. მდიდრები არ იკარებდნენ, ეშინოდათ, რომ თავიანთ სუფთა საყვარელი ბავშვები არ წაებილწა ჰუჭყიან, იარებიან, ჩაგლეჯილ შეშლილ ბიჭს და იმ ღარიბ-ღატაკ მეზობლებს, სადაც ლევანა გაიზარდა, თითონაც არაფერი გააჩნდათ და არც დრო ჰქონდათ ყური ეგდოთ იმისთვის, მაგრამ ისე იყო თუ ისე, ღარიბები ღამეს მაინც ათევინებდნენ და აჭმევდნენ. რამდენს არ ასწავლიდნენ, ლევანა მათხოვრობას ვერ შეეჩვია. სულ ქუჩაში ეგდო. წასვლა-წამოსვლას არავინ უშლიდა ან კი ვინ დაუშლიდა. ვინ ჰყავდა პატრონი, გულშემატკივარი. აკი ამიტომაც სიბრალულით ამბობდნენ ხშირათ მზის ყურეზე გამომწკრივებული ბებრები, როცა ლევანას დაინახავდნენ.

—საწყალი, უპატრონო ლევანა, სამადლოდ ზრდიან „პრიუტიდან ღმერთო, შენ დააჰკვიანეო“. მაგრამ ახალგაზრდები კი უმეტეს ნაწილად დასცინოდნენ ლევანას, და დასცინოდნენ სწორედ ისინი, რომელთაც ბედმა კეთილი დედმამა, თბილი სახლი და უხვი სასმელ-საჭმელი მიანიჭა.

აი, ერთხელ რა ნაირ სურათს წავაწყდი.

ახალი გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო. თბილი მზე უხვად აფრქვევდა დედამიწას გამაცოცხლებელ მხიარულ სხივებს. ჩვენი ქალაქის შეკრეჭილი ხეები ქვაფენილების გასწრივ სიფრთხილით იღვიძებდნენ და აქა-იქ ახალ გამოფეთქილის მწვანე კოკრებით ცქრიალით შესცინოდნენ ცელქ სხივებს. კოხტად მორთული ხალხი სასეირნოდ გამოფენილიყო, რომ ჩაესუნთქა გამაცოცხლებელი ჰაერი. სწორედ ის დრო იყო, როცა მოსწავლე ახალგაზრდობაც ათავებს სასწავლებლებში სწავლას და შინისაკენ მიეშურება. მე მივდიოდი და ბუნების განახლებით გახალისებულ-გახარებული, ვადიდებდი და ვაქებდი განგებას ქვეყნიერობის ასე ბრძნულად მოწყობისათვის. ჩემი ყურადღება ხმაურობამ მიიქცია. ერთ დიდ სასწავლებლის წინ მოსწავლეთა და სხვა არა მოსწავლე ბავშვებისა და დიდების ჯგუფი შეკრებილიყო და იმათ გაჰქონდათ სიცილ ხარხარი. მეც სულითა და გულით მომინდა იმათთან სიცილ-ხარხარი, ისეთი მიმზიდავი და კეთილი მეჩვენა იმათი მხიარულება. სწრაფად მივედი და ჩავიხედე კარგა მოზრდილ წრეში, რომელიც იმათ შემოევლოთ და სასტიკად დავრჩი გულდათუთქული: წრეში საზიზღარის პრანჭვა-ღრეჯით ხტუნაობდა და ბუქნაობდა თმა-გაბურძგვნილი, ჩაგლეჯილი, იარებით დაწყლულებული პატარა, ადამიანის მაგვარი ველური, მობუზული არსება.

—შეშლილი ბიჭია, შეშლილი,—წამოიძახა ვიღაცამ.

—ლევანა, ლევანა: აქეთ, აქედ მოდი, აი, მეც მაქვს შაქარი,—დაუძახა ამ დროს პაწია არსებას ერთმა კარგა მოზრდილმა ახალ ნაცრის ფერ პალტოში გამოწყობილმა, კოხტა გიმნაზიელმა.

ლევანა სწრაფად წამოხტა და გაჰქანდა გიმნაზიელისაკენ.

—ხა, ხა-ხა,—გაისმა სიცილი.

—მოიცა, მოიცა, ახლოს ნუ მოხვალ,—შესძახა ამხანაგების სიცილით შეხალისებულმა გიმნაზიელმა,—ჯერ აბა თავდაყირა დადექი და ისე გაიარე და აი,—მან აჩვენა დამუჟული ხელი,—შიგ შაქარია.

ლევანას ერთ წუთს ცრემლებით აევსო თვალები, მაგრამ მაინც გაიღიმა და საჩქაროთ გაიქცა. ტალახიანი, გაწითლებული ფეხები თითქოს არ ემორჩილებოდნენ. ეტყობოდა სციოდა.

ბავშვი დაეყრდნო ხელებზე და ის იყო უნდა თავით გამაგრებულიყო, რომ ტანი ვეღარ შეიმაგრა და მოწყვეტით გაიშხლართა ქვაფენილზე.

—ხა-ხა-ხა, ხა-ხა-ხა!—გაისმა ახალგაზრდების ხარხარი.

ლევანა წამოჯდა და შეშინებულმა დაიწყო იქით აქეთ ცქერა.

—ადექი, ადექი ლევანა, ჩქარა... აი, აი მე მოგცე შაქარი, აქ მაქვს შენთვის,—უთხრა ახლა მეორე, კიდევ უფრო მოზრდილმა ახლად ულვაშებ აშლილმა გიმნაზიელმა,—მაგრამ სამაგიეროდ უნდა იმღერო, ლევანა!

ლევანა წამოხტა.

—არა, არა ახლოს ნუ,—ზიზღით მიაძახა ჭაბუკმა,—მაქ, მაქ დადექი და ისე იმღერე!..

—უჰ, რა სასაცილო სანახავია, ადამიანის მეტს ყველაფერს ჰგავს,—სთქვა ვიღაცამ.

—ფუი, ფუი, რა ჭუჭყიანია.

—ხა, ხა, ხა, მგონი წყალიც კი არ გადაურია ტანზე არასოდეს.

—აბა, აბა, იმღერე, თორემ შევჭამე შაქარი აი,—გიმნაზიელმა მიიტანა მუჭი პირთან.

ლევანს შიში და ტანჯვა გამოეხატა სახეზე, როგორღაც საჩქაროდ შეტრიალდა-შემოტრიალდა, ასწია ფიჩხივით ხელები და დაიწყო სიმღერა, მაგრამ რა სიმღერა! რაღაც ცივი, ველური ღრეჭით ჰყივილი, რომელიც სიმღერა კი რა, ტანჯულის კვნესა-ტირილი იყო.

ერთ წუთს ყველანი ჩაჩუმდნენ, თითქოს ერთ წუთს იმათ ახალგაზრდა გულში სიბრალულმა ჩაანათა და ამნაირ საქციელის უხერხულობა და უსამართლობა აგრძნობინა, მაგრამ გიმნაზიელი არ დაიბნა და უცებ მხიარულად შესძახა:

—ლევანა, გეყოფა სიმღერა, აჰა შაქარი წაიღე.

გახარებული ლევანა კრიჭინითა და ხტუნაობით გაჰქანდა გიმნაზიელისაკენ და გაუწოდა ხელი.

—აჰა,—უთხრა გიმნაზიელმა და გაშალა ხელი; ხელი ცარიელი იყო და მან მაშინვე იკრა თითი თვალის ქვედა ქუთუთოზე, ჩამოიბრიცა, დაანახა თვალის გუგა,—აი, აჰა შენი შაქარი, გინდა?..—უთხრა მან და ხარხარით საჩქაროდ გავარდა წრიდან.

—ხა, ხა, ხა, უუ-უუ-უუ!..—ისმოდა ირგვლივ ხარხარი და მხიარული ყიჟინი. სიცილით მუხლები ეკეცებოდათ, ყველა მუცელზე იჭერდა ხელს.

ლევანამ ერთი მიიხედ-მოიხედა მოცინარე ხალხისაკენ და გულ-საკლავად ატირდა სლოკინით, მაგრამ უცებ შეჰყვირა და მოკრუნჩხული, მოწყვეტით დაეცა ქვებზე გულ-აღმა და დაიწყო ფართხალი. გახეთქილ კეფიდან სისხლი გადმოსჩქეფდა.

—ბნედა, ბნედა მოუვიდა!—დაიძახა ვიღაცამ და შავი შალი გადააფარა.

—დაიშალენით, არ შეიძლება შეჯგუფება,—შესძახა ხალხს მრისხანედ ამ დროს მოსულმა პოლიციელმა. ყველანი დაიშალნენ და წავიდ-წამოვიდნენ; ბევრი ახლაც იცინოდა.

ლევანა მაშინ იქნებოდა თოთხმეტ-თუთხმეტი წლისა, მაგრამ შესახედავად ათის წლისას ძლივს ჰგავდა.

ამ შემთხვევის შემდეგ ლევანა ჩქარა

*) იხ, „ისარი“ № 268.

პოს პოლონეთში საზოგადოების შედგენისა და კრების უფლება, წაართვას პოლონელებს მიწაზე მემკვიდრეობის და ახალ მიწების შეძენის უფლება, აღარ მიიღოს სამსახურში პოლონელნი და გამორიცხოს პოლონელი მოხელენიო.

საახალშენო „კომისიამ“ და საზოგადოებამ გაორკეცებულის ძალით დაიწყეს მოქმედება პოლონეთში. ყველა ამან საშინელი ნაციონალისტური რეაქცია გამოიწვია პრუსიის პოლონეთში. თუ აქამდის ნაციონალური თვითშეგნება მხოლოდ რიცხვმცირე ინტელიგენციის პრივილეგიას შეადგენდა, ეხლა, როდესაც საქმე თვით პოლონეთის არსებობას შეეხო, ნაციონალური გრძნობა საშინელის სიძლიერით მოედო პოლონეთის ყველა კლასს. გაიღვიძა ფანატიკოსურმა ნაციონალიზმმა და მთელი პოლონეთი შოვინისტებს ჩაუგდო ხელში. რა თქმა უნდა, საქმე მარტო ნაციონალურ გრძნობის გაღვიძებით არ გათავებულა. დაიწყო მედგარი ბრძოლა თავის დაცვისა რეალურ ზომებით: დაარსდა საზოგადოებები თანხებით, საახალშენო ბანკები პრუსიის მაგალითისამებრ, მოეწყო წვრილი კრედიტი და სხვა. ამ დაწესებულებებმა, მთელმა პრესამ და მთელმა საზოგადოებამ ერთად იწყო გაასკეცებული ბრძოლა პრუსიის გერმანიზატორობის წინააღმდეგ. ამათი უმთავრესი საზრუნავი დღეს ის არის, რომ დააბრკოლონ პოლონელთა მიწების გერმანელების ხელში გადასვლა. ამისათვის გამოსყიდულ მიწებს თვით ყიდულობდნენ და ამ მიწებს შეღავათიანის პირობებით და ნაჭრობით ჰყიდდნენ ისევ პოლონელებზე. მთელ საზოგადოებაზე დაყრდნობილმა ნაციონალისტურმა პრესამ იმგვარი გავლენა მოიპოვა, რომ თითქმის იგი მართავდა მთელ პრუსიის პოლონეთის ცხოვრებას. ამ პრესის შიშით, გაკოტრებული პოლონელი მემამულენი ვერა ჰბედავდნენ, თავიანთი ადგილები გერმანელებისათვის მიეყიდნათ და იძულებულნი ხდებოდნენ იმაზე უფრო ნაკლებ ფასად, რასაც გერმანელები აძლევდნენ, პოლონურ ბანკებისათვის მიეცათ. ამ პრესის წყალობით, არა ერთი და ორი გერმანელი სავაჭრო ფირმა და საწარმოვო დაწესებულება გაკოტრდა. თავზარი ეცემოდათ იმ გერმანელ ვაჭრებს, მეფაბრიკეებს და მემამულეებსაც, რომელნიც ხშირად არც კი თანაუგრძნობდნენ ანტიპოლონურ პოლიტიკას: იმათ ფირმებს ბოიკოტს უცხადებდნენ, მათ ნაწარმოებს პოლონელთა შორის გასავალი არა ჰქონდა, გერმანელ მემამულეებს მოსავლის მოკრების დროს აცლიდნენ ხელიდან პოლონელ მუშებს და სხვა. რა თქმა უნდა, მთავრობამაც მოუმატა რეპრესიებს: დაიწყო საშინელი დევნა პრესისა, რედაქტორებს და ჟურნალისტებს მთელის წლობით ალპობდა ციხეში, ხურავდა საზოგადოებებს და ჰკრძალავდა კრებებს, სკოლებში საშინლად სჯიდა ბავშვებს სულ უბრალო რამეზე, უკრძალავდა მათ პოლონურად ლაპარაკს. სკოლებსა და მთავრობის დაწესებულებებს სწმენდავდნენ პოლონურ ელემენტისაგან და მათ ადგილზე გერმანელ მოხელეებს აყენებდნენ. სუბსიდიები ეძლეოდათ გერმანელ ექიმებს და ვექილებს. „კონსტიტუციონურ“ პრუსის ერთ ნაწილში კანონი აღარ არსებობდა არც გერმანელებისთვის და არც პოლონელებისათვის. პირველნი —თვითონ იყვნენ კანონნი, მეორენი კი კანონს გარეშე იქნენ გამოცხადებულნი. ამ რეპრესიებმა ბრძოლა კიდევ უფრო გაამწვავეს და კიდევ უფრო მედგარი წინააღმდეგობა გამოიწვიეს.

მერე, რა გამოვიდა? „საამშენებლო კომისიის“ ფონდი დაიშრიტა. მისი კოლონიზაციონური მოქმედება ძალიან ნაკლებად ნაყოფიერი აღმოჩნდა: ადგილები შეიძინა, მაგრამ ზედ ვერავინ დაასახლა. ეს კიდევ რაა: კომისიამ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ გერმანელების მიწები პოლონელების ხელში არ გადასულიყო. ჯერ რომ საზოგადოდ პოლონელებმა მეტი მიწა შეიძინეს; შემდეგ, პოლონელებმა ბევრად უფრო მეტი მიწა შეიძინეს გერმანელებისაგან, ვიდრე გერმანელთა კომისიამ პოლონელებისაგან. მეორეს მხრივ პირდაპირ უკიდურესობამდე განვითარდა პოლონური ნაციონალიზმი. ერთის სიტყვით, მთავრობა ეღირსა იმას, რის წინააღმდეგაც იბრძოდა: გერმანიზმის გავრცელების ნაცვლად საშინლად გაძლიერდა პოლონიზმი. გ. მ.

(დასასრული იქნება)

## ახალი ამბავი

—:—

✦ **გენ. ალიხანოვის მკვლელი.** რუსულ გაზეთების სიტყვით, გურიაში შეუპყრიათ ერთი კაცი, რომელსაც აბრალებენ თურმე გენ. ალიხანოვის მკვლელობას.

✦ **დამშეულთა დახმარება.** „ტიფ. ლის.“-ს დეპუტატ სადათელიანისაგან დეპეშა მიუღია. როგორც დეპუტატი იტყობინება, სამინისტრო წელს დამშეულ გუბერნიებისთვის თხოულობს თორმეტ მილიონ მანეთამდე. აქედან კავკასიისთვის განზრახულია მხოლოდ 121,263 მანეთი. დეპუტატი სწერს, ასეთივე შეცდომა ჩაიდინეს შარშან, როდესაც შიდა რუსეთის დამშეულთათვის გადასდეს ორას მილიონ მანეთამდე, აქედან მარტო სამარის გუბერნიისთვის—30 მილიონი. დეპუტატის აზრით, საჭიროა ცნობების შეკრება ამიერ-კავკასიის დამშეულთა შესახებ.

✦ **სომხების დახმარება.** ა. ა. კალანთარისა, და სხვათა მეთაურობით შესდგა ინტელიგენტთა წრე, რომლის გამოკვლევითაც, როგორც აღვნიშნეთ, კავკასიაში მცხოვრები სომხები მოუსავლობით წელს ძალიან დაზარალებულან. წრის აზრით დაზარალებულ სომხების გამოსაკვლებად წელს საჭიროა 3 300,000 მან. წრის უკანასკნელი სხდომა მოხდა გუშინ, 6 დეკემბერს. განიხილეს მთელი მასალა, ამ საკითხის გამო შეკრებილი, და დაადგინეს, გაუგზავნონ ნამესტნიკს დეპუტაცია და სთხოვონ შუამდგომელობა, რომ კავკასიაში მცხოვრებ სომხთა დასახმარებლად სახელმწიფო ხაზინიდან გადაიდოს 3,300,000 მან. თუ წრემ ფული მიიღო, აზრადა აქვს, ყველა მაზრაში დააარსონ განყოფილება, და ხალხს მოაწოდონ როგორც გამოსაკვებად საჭირო ფქვილი, ისე სათესლედ ხორბალი.

✦ **სასამართლოში.** 13 დეკემბრისთვის ტფ. ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ვასო ჭელიძისა, რომელსაც გაჩხრეკის დროს რევოლვერი აღმოაჩნდა. ჭელიძეს აბრალებენ გაზეთ „გოლოს კავკაზის“ რედაქციის გამგის ფილიპოვის მოკვლის განზრახვას.

✦ **განთავისუფლება.** ამას წინად სოფ. ალში ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემლად გამართულ სალიტერატურო საღამოს გამო დააპატიმრეს გიორგი მაჭარაშვილი და მასწავლებელი სოფ. ალისა ნებიერიძე. დაპატიმრებულნი გორის ციხეში გაუგზავნიათ, მაგრამ შემდეგ გაუთავისუფლებიათ.

✦ **გაჩხრეკა და დაპატიმრება.** 4 დეკემბერს პოლიციამ ანდრეევის ქუჩაზე გაჩხრიკა მიხ დარჩიაშვილის სახლი. 5 დეკემბერს მ. დარჩიაშვილი პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს.

✦ **ტრამვაი სოლოლაკში.** ტრამვაის დირექციას აზრადა აქვს ვაგონების მიმოსვლა ახლად გაყვანილ სოლოლაკის შტოზე 30 დეკემბერს დაიწყოს.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ იქნება მკითხველს კიდეც გადაავიწყდა, რომ ქუთაისში არსებობს ბავშვებისთვის მზრუნველი საზოგადოება. როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, საზოგადოების მიზანია ღარიბისა და უპატრონო-უქონისუფლო ბავშვების დახმარება და მოვლა-პატრონობა. ასეთი სიმპატიური მიზანი ხელს ძლიერ უწყობდა საზოგადოებას, რომელიც ამ სამი-ოთხი წლის წინად სხვა საქველმოქმედო საზოგადოებებთან შედარებით კარგს მდგომარეობაში იყო: საზოგადოების სასარგებლოდ ყოველ წლიურად იმართებოდა სეირნობა, საცეკვაო საღამოები, ხელის მოწერით იკრიბებოდა ფული და სხვა და სხვა შემოწირულება. ქალაქის საბჭოს დადგენილებით საზოგადოებას ყოველ წლიურად ეძლეოდა ორას-ორასი მანეთი; საშობო-საახალწლოდ ყოველ წლს იმართებოდა შობის ხე ღარიბ ბავშვებისათვის და ურიგდებოდათ მათ საჩუქრად ტანისამოსი, ფეხსაცმელი, საცვლები, წიგნები, ტკბილეულობა და სხვა. არა ერთსა და ორს ღარიბ მოწაფეს ეძლეოდა საზოგადოებიდან დახმარება სწავლის ფულის შესატანად; არა ერთი და ორი უპატრონო ბავშვი დაუყენებია საზოგადოებას სადმე ოჯახში, სადაც საჭმელ-სასმლისა და ტანისამოსის მიცემის გარდა ბავშვს წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ.

საზოგადოებას სურდა ღარიბ ბავშვებისათვის თავშესაფრის აგება; ამ თავშესაფარში განზრახული იყო სასწავლებლის მოწყობა, სადაც ბავშვებისათვის კალათების წნვა და სხვა ხელსაქმე უნდა ესწავლებინათ. საზოგადოებამ უკვე შეიძინა ქალაქისაგან ერთი დესეტინა ადგილი ბალახვანის ქუჩაზე, დაიწყო ზედ თავშესაფრის შენება და ერთის საჟენის სიმაღლეზე კიდეც ააშენა კედელი. მაგრამ ამას მოუსწრო 1905 წლის ქალაქის ცხოვრების არა ნორმალურს კალაპოტში ჩადგომამ; ამას კიდევ ზედ დაერთო საზოგადოების თავმჯდომარის ტ. გ. ნაზაროვის ავადმყოფობა, რომელიც საზოგადოების სულის ჩამდგმელი იყო, და ყველა ამან საზოგადოების საქმეები ძლიერ არივ-დარია. გამგეობის წევრები, საპატიო თუ არა საპატიო მიზეზების გამო, ჩამოშორდნენ საზოგადოების მართვა-გამგეობას. მალე ქ-ნი ნაზაროვისაც გარდაიცვალა, რის შემდეგ საზოგადოების ყოველგვარი მოქმედება შესწყდა და საზოგადოებამ სიცოცხლის ელფერი სრულიად დაჰკარგა. მხოლოდ ამ ბოლო დროს საზოგადოების რამდენსამე წევრს განუზრახავს საზოგადოების გამოღვიძება და ჩვეულებრივს კალაპოტში ჩაყენება. ამ მიზნით ისინი იწვევენ ამ წლის 11 დეკემბრის, საღამოს 6 საათისთვის, ქალაქის გამგეობის დარბაზში როგორც საზოგადოების წევრთ, ისე გარეშე პირთ, რომელთაც სურთ საზოგადოების წევრად გახდომა. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები და იქონიოს მსჯელობა რამდენისამე საჭირო საკითხის შესახებ. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთაისური საზოგადოება ბლომად დაესწრება კრებას და გულმხურვალედ მოეკიდება ამ სიმპატიურ საზოგადოების საქმეების გამოცოცხლებას.

## ბ. რობაქიძის ლექციაზე.

ჩვენი დრო ფილოსოფიურ აზროვნების აღორძინების ხანაა. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულში ერთის მხრივ მეცნიერების საბოლოო მიზანმა—მსოფლიოს აღწერამ ერთ მთლიან ფაქტად, ხოლო მეორის მხრივ კი შემეცნების თეორიის წინ წამოყენებამ გამოიწვიეს სასტიკი კრიტიკა პოზიტივიზმისა, გადაშინჯვა მეცნიერებათა ყველა დასაბამებისა და აღდგენა მკვდრეთით დავიწყებულ ბრძენთა აზრებისა ამ საკითხებზე. ამ კრიტიკას ჰპოვნ ერთნაირის ერთგულებით ეწეოდნენ და ეწევიან დღევანდლამდე როგორც სპეციალისტნი ფილოსოფიურ ცოდნათა, აგრეთვე სპეციალისტები ბუნების მეცნიერებისა ანუ მეცნიერნი. მეცნიერ ბუნების მეტყველთა და ფილოსოფოსთა ულმობელმა და უშიშარმა კრიტიკამ მეოცე საუკუნის დასაწყისში სულ ერთიან წაართვა მეცნიერებას ის ხასიათი უტყუარ ჭეშმარიტებათა მდადებელისა, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნეში ხელი შეუწყო იმის გაბატონებას აზროვნებაში და სპეკულიატურ ფილოსოფიის დამცირებას საზოგადოების წარმოდგენაში. გამოირკვა და, რაც დრო გადის, მით უფრო მაგრად იკიდებს ფეხს ცოდნის ყველა მაძიებელთა შორის აზრი, რომ ვერავითარ მეცნიერებას ვერ შეუძლიან საბოლოოდ დააღწიოს თავი მეტაფიზიკურ ცნებებს, რომ ეს ცნებები შეადგენენ ყოველ მეცნიერულ ცოდნის აუცილებელს დასაწყისს. ამ ახალი შეხედულებას გავლენით გატყდა წინანდელი გულცივობა მეტაფიზიკურ პრობლემათა შესაფერ და მეცნიერულ კვლევა-ძიებით დაქანცული აზრი ხარბად დაეწაფა ფილოსოფიას. თანამედროვე მეცნიერების „კრიზისი“, რომლის შესახებაც ლაპარაკი თითქმის მოდად გადაიქცა ევროპას განათლებულ საზოგადოებრივ წრეებში, სწორედ იმ კრიტიკას იგულისხმებს, რის მეოხებითაც აეხადა რეალურ ცოდნათა ფარდა მეცნიერების მეტაფიზიკურ დასაბამ ცნებებს.

მეცნიერების „კრიზისს“, როგორც ვთქვით, მოჰყვა ფილოსოფიისადმი ინტერესის განცხოველება. დავიწყებული ძირითადი პრობლემები ყოფნის და არ ყოფნის შესახებ, თავისუფლების, მშვენიერების და სიკეთის შესახებ ხელახლა მთელი თავის ბრწყინვალებით გამოეჭიმნენ გონებას და ხელახლა ეწევიან ადამიანს გრძნეულის ძალებით თავის სამფლობელოსკენ. ძველი მეცნიერება, ძველი პოზიტივიზმი შეირყა, იმისი ადგილი ჯერ თავისუფალია და მრავალმხრივ ეძიებენ ჩვენს დროში ქვას და კირს ახალის შენობისთვის საძირკველის ჩასაგდებად; ეძიებენ საძირკველის მასალას აღმოსავლეთის ფილოსოფიაში, საღვთო მოთოლოგიაში, რაციონალიზმში და მისტიკაში. ფილოსოფიური მსოფლმხედველობა დუღილშია და ჯადოსნურ თავბრუს ასხამს ყველას, ვინც კი ბუნებით ფილოსოფიურ ეფექტების მოყვარეა და ვინც სიამოვნებას განიცდის მსოფლიოს წესწყობილების ბურთივით ხელში თამაშისაგან. ერთი ჩვენი დროის გერმანელი ფილოსოფოსი (რიკკერტი) ამბობს, ჩვენთვის შემეცნების თეორია სინიდისის საქმეაო. მართლაც, შემეცნების თეორია ფილოსოფიურ აზროვნების ერთად ერთი გზის მაჩვენებელია [illegible] ცხოვრების გზის აღმნიშნავი. როგორც [illegible] ცხოვრება იბნევა და იკარგება ბილიკების ლაბირინტში, ისე ფილოსოფიური აზროვნება ჰკარგავს გზის მაჩვენებელს და ფიქრის ფუჭ ხეტიალად იქმნის ოცნებათა სამთავროში, რა წამს იგი შემეცნების თეორიის ხელმძღვანელობას აღწევს თავს და ლაგამ მოვარდნილი აწყდება შუბლით ფილოსოფიურ პრობლემებს.

არც მეცნიერების კრიზისი, არც მეტაფიზიკურ აზროვნების აღორძინება მიუხედავად ცხიერების გარეგნობისა არ წარმოადგენენ არც ხიფათს მეცნიერთა მიერ შექმნილ ძვირფას ცოდნათა სალაროსთვის, მეცნიერებისთვის, და არც კაცობრიობის უკან დაბრუნებას ერთხელ დიდის ბრძოლის შემდეგ ძლეულ ფუჭ თარეშისკენ მეტაფიზიკურ არსთა სამფლობელოში. არც ერთი და არც მეორე განსაცდელი არ არსებობს იმათს თვალში, ვინც ბეჯითად ჩაუკვირდება თანამედროვე ფილოსოფიურ ინტერესების წარმოშობას. შემეცნების თეორია ბურჯად, შეურყეველ ბურჯად უდგა ერთის მხრივ მეცნიერებას, ხოლო მეორეს მხრივ კი აზროვნების პროგრესს. მხოლოდ იმათთვის, ვინც გადამეტებულის სითამამით შეპყრობილი აუქცევს გზას შემეცნების თეორიას, მხოლოდ იმათთვის წარმოადგენს თანამედროვე „მეცნიერული კრიზისი“ ერთხელ დამარხულ მეტაფიზიკურ სისტემების აღდგენას, მხოლოდ იმათს თვალში ეკარგება ფასი ემპირიულ ცოდნას და ჰხდება საჭირო „მისტიკურ ცდაზე“ დამყარებული ოცნება ან, თუ გნებავთ, „მისტიკური ცოდნა“.

შემეცნების თეორიისაგან განდგომილი „ფილოსოფობა“, ჩვენის შეხედულებით, თანამედროვე ევროპის ფილოსოფიურ თვითშეგნების ერთი სახიჩარი ფორმაა. იგი აუცილებლად დაისკვნება მისტიციზმით, რაიცა იგულისხმებს იდეალურ აფროთოვანების წილ ძლონარე ცბიერ გამსჭვალვას ზესთა-ბუნებრივობის არსთა ცხოვრებით და ნათელ წარმოდგენათა ნაცვლად ნისლიან „იდეებს“, რომელთა სიტყვით გამოხატვაც კი შეუძლებელია. ეს, ჩვენის შეხედულებით, სახიჩარი ფორმა „ფილოსოფოსობისა“, მისტიციზმი ყოველთვის იქ უფრო მაგრად იკიდებს ფეხს, სადაც უფრო ნაკლებია ცოდნა და ისტორიული კავშირი კაცობრიობის აზროვნების მიერ განვლილ ეკლიან გზასთან. ამიტომ, საკვირველი არ არის, რომ ევროპის თანამედროვე ფილოსოფიურ კრიტიკის ხანაში რუსეთში საკმაოდ მაგრად მოიმაგრა ფეხი მისტიციზმმა, რომელსაც აქ ისეთი ნისლიანი წარმომადგენლები ჰყავს, როგორც სოლოვიოვი, და რომელმაც აქ მრავალი მიმდევარი გაიჩინა. მაგრამ თუ გონებრივი ჩამორჩენილობა რუსეთისა ხელს უწყობს მისტიკურ სწავლათა გავრცელებას, რა თქმა უნდა, ამ მხრივ რუსეთს სულ არ ჩამოუვარდება ჩვენი ქვეყანა. აქ მისტიციზმს ნაკლები მიმდევარი არ აღმოუჩნდება.

ბ. რობაქიძის გუშინდელმა ლექციამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენშიც მისტიციზმს უკვე საკმაოდ გაუდგამს ფესვები. ლექტორი პლატონის და სოლოვიოვის მისტიკურ მოძღვრებათა მოსარჩლედ გამოვიდა. ახლად დაარსებული წრე „იკარიასი“ ლექტორს თავის მეგობრად აცხადებს. ლექციას დიდძალი ხალხი ესწრება. ბ. რობაქიძე უიმისოდაც რთულს და ნისლიან მოძღვრებებს კიდევ თავის საკუთარის მისტიციზმით აბუნდოვანებს და ახდენს ჭეშმარიტად „მისტიკურ ცდას“. მსმენელნი ჰაერში დაეძებენ „მისტიკურ აზრებს“ და უშწეოდ აცეცებენ ხელებს „ღვთაებრივ განცხადებათა“ დასაჭერად, იმ „ღვთაებრივ განცხადებათა“ დასაჭერად, რომელთაც ცნება ვერ გამოსთქვამს, რომელნიც ცნებათა გარეშე იმყოფებიან. მსმენელნი ჰგრძნობენ, რომ დაიღალნენ ამ „მისტიკური ცდით“, ჰგრძნობენ, რომ დაიღალა თვით ლექტორიც, მაგრამ აი დასრულდა ლექცია და ტუჩზე კმაყოფილების ღიმი დაჰკრის. ჰგრძნობენ, რომ დიდებული რამ სანახაობა ნახეს, ნახეს ის, რაც სიტყვით არ გამოითქმის, ნახეს მისტიური სამეფო.

ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ იგინი ცხონდნენ.

---

მოიყვანეს სულით ავადმყოფთა თავშესაფარში, ვინ და როგორ მოახერხა ეს არ ვიცი. ამბობენ, ვითომც ჩვენი თავშესაფრის ექიმს ენახოს სადღაც, შებრალებოდეს და მიეღოს. ასე იყო თუ ისე, ძალიან მესიამოვნა, როდესაც საწყალი ბავშვი მოიყვანეს და ვიცანი ის პატარა „შეშლილი“ ბიჭი, რომელსაც ისე სასტიკად დასცინოდნენ გონიერი ახალგაზდები. ავათმყოფები დამშვიდებით მიეგებნენ მას, ზოგმა ხელიც კი გაუწოდა, ზოგი ღიმილით შესცქეროდა. მხოლოდ მსხვილი ვანო, მზრუნველობით შეჭმუხვნულ შუბლზე ხელის სმით, მომიახლოვდა და ნელის ხმით მკითხა.

— ამანაც აქ უნდა იცხოვრის?

— დიახ, ვანო, პატარა ლევანა დღეის შემდეგ ჩვენთან იცხოვრებს,—მიუგე მე.

— რა არის ამდენი ხარჯი, ხარჯი... სადა მაქვს შეძლება, შემოსავალს კი არ კითხულობენ... უთხარი. მაინც იქ აუზი გაასცხელონ და აბანონ, ერთი ლოგინიც აი იმ შუა პალატაში დაუდგან.

ლევანას კი მგონია, თავის თავი გონიერთა საზოგადოებაში ეგონა და მოინდომა იმათი სიამოვნება: დაიწყო ხტუნვა ბუქნაობა და სიმღერა. მაგრამ არავინ ყურადღება არ მიაქცია, არ გაიკვირვა. ისინი თითქოს დარწმუნებული იყვნენ, რომ ლევანას შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც ესიამოვნება, ოღონ იმათ არ დაუშალოს სიარული.

ლევანა გაჩერდა. ცოტა ხანს იდგა უძრავად, მიიხედ-მოიხედა და იწყო თითონაც წინ და უკან სიარული.

მას შემდეგ „საგიჟეთია“, როგორც გონიერები ეძახიან სულით ავადმყოფთა თავშესაფარს და არც ერთხელ იმისთვის არავის არ დაუცინია, არც ერთხელ არ უცემია და არც არავის აზრად მოსვლია მოეტყუებინა. პირ-იქით, ყველა ამისი ოც-და-ათი ამხანაგი, როგორც ოჯახის თანასწორ წევრს, ისე უცქერის ლევანას. როგორც ზევითაც მოვიხსენეთ, ვასილ არტემიჩს თავის შვილადაც კი უნდა გახადოს. მოხუცი კნიაზი, რომელსაც წინააღმდეგ თავადურ ჩვეულებისა, ერთობ უყვარს ოჯახობა და შრომა, ადგება თუ არა დილით, თავის ლოგინის შემდეგ ლევანას ლოგინს გაუსწორებს. დაეხევა რამ თუ არა, ლევანას ტოლი დავითა მაშინვე მორბის ჩვენთან:

— „Худо тому, кто добра не дѣлаетъ ни кому. Богъ правду видитъ, да не скоро скажетъ“, *)—გვეუბნება დავითა და გვეწევა ხელზე ლევანასაკენ, გვითითებს იმის დახეულ ხალათზე და კმაყოფილი იცინის. ჩვენ ვუცვლით ლევანას ხალათს, და დავითა კი სიამოვნებით ამბობს.

— я баринъ?.. вѣдь я баринъ...— და მიდის კოჭის სათამაშოთ,—ალჩუ, ჩიკა,—გვესმის იმისი ხმა. ლევანა კი ამ დროს ხალათ გამოცვლილი დარბის და ყველას აჩვენებს:

— ძიაჯან, შეხე, მე ახალი ხალათი მაქვს, ჰე, ჰე... ხუთი თუ ექვსი წელიწადია, რაც ლევანა თავშესაფარშია. გასუფთავდა, წყლულები აღარა აქვს. გაიზარდა და გამხიარულდა; შეშლილებმა შეუმსუბუქეს ცხოვრება საბრალო ბიჭს, მაგრამ ვერ გაასწორეს გონიერ ადამიანებისაგან დამახინჯებული იმის სულიერი მდგომარეობა. დიახ, ლევანა „საგიჟეთში“ უკეთ გრძნობს თავს და ეს უხარიან.

**ნინო ნაკაშიძე.**

---

*) ვაი იმას, ვინც სიკეთით არ ეხმარება არავის. ღმერთი სიმართლეს ხედავს, მაგრამ ჩქარა არ იტყვის.

# რუსეთი

—:—

**პოლონეთში.** პოლონეთის სასკოლო „მატიცას“ გამგეობამ პოლ. გენერალ-გუბერნატორს სთხოვა, რომ მას ეპატიებინა „მატიცაზე“ დადებული ჯარიმა 3000 მანეთი და ნება მიეცა გამგეობისთვის გამოეცა პედაგოგიური ჟურნალი. გენ.-გუბერნატორმა ორივე თხოვნა უარჰყო და ცოტა ხნის შემდეგ სულაც მოსპო „მატიცას საზოგადოება.

მთელი პოლონეთი აღზდგა წინააღმდეგ გერმანიის ბარბაროსულ კანონპროექტისა შესახებ იმისა, რომ გერმანიის პოლონეთში, პოზნანში შემოღებულ იქმნეს ისეთი კანონი, რომლის ძალით გერმანელებს შეეძლებათ იძულებით გამოისყიდონ პოლონელების მიწები და ამით ტერიტორია გამოაცალონ ხელიდან. რუსეთის პოლონეთმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, გერმანიის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადა. ორიოდე კვირის წინად გადაგდებულმა ბოიკოტის აზრმა უკვე დიდი ნაყოფი გამოიღო: მრავალი საზოგადოება, დაწესებულება და სავაჭრო ამხანაგობა მიემხრო ამ აზრს. პოლონეთის რკინის გზებზე მომუშავე პოლონელებმა უკვე გამოაცხადეს ბოიკოტი: გერმანულ საქონელს აღარ ყიდულობენ და მის მაგივრად თხოულობენ ინგლისურსა და ფრანგულს.

**◆ დათხოვნის მიზეზი.** რამდენიმე დღის წინად მთავრობამ სამსახურიდან დაითხოვა ორი მდივანი ლუცკის საოლქო სასამართლოსი. მიზეზი ის იყო, რომ მათ უარი სთქვეს ერთი კაცის ჩამოხრჩობის დროს დასწრებაზე.

**◆ მთელი წარმოდგენის ყიდვა.** სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატმა კრუპენსკიმ იყიდა პეტერბურგის უდიდეს საოპერო თეატრში ერთი წარმოდგენა— „ცხოვრება ხელმწიფისათვის“ (?) „ჟიზნ ზა ცარია“ და ბილეთები სათათბიროსა და საბჭოს წევრებს დაურიგა.

**◆ მიზეზი განხეთქილებისა.** ამას წინად ვწერდით, რომ ჭეშმარიტ რუსთა კავშირის ორ ბელადს—პურიშკევიჩსა და დუბროვინს განხეთქილება და უსიამოვნება მოუვიდათო. განხეთქილება პარტიაშიაც გადავიდა და ორ ჯგუფად გაჰყო. ეხლა გამორკვეულა ნამდვილი მიზეზი განხეთქილებისა. შარშან აწ განსვენებულ პეტერბურგის გრადონაჩალნიკის ფონ-დერ ლაუნიცის შემწეობით „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირს მთავრობისგან 200,000 მანეთი მიუღია. ეს ფული კავშირს ადგილობრივ ორგანიზაციებისთვის დაურიგებია, მაგრამ განაწილების დროს კავშირის ბელადებს რაღაც სიყალბე ჩაუდენიათ. ამიტომ იყო, რომ პურიშკევიჩი დუბროვინს ემუქრებოდა: ხმა ჩაიკმინდეთ, თორემ ყველაფერს ვიტყვიო. იმედია მალე გავიგებთ ამ ფულის ამბავსაც.

**◆ გაფიცვის შედეგი.** პეტერბურგის ალექსანდროვის მექანიკურ ქარხანაში 3600 კაცი მუშაობდა. 22 ნოემბერს მუშები სხვებთან ერთად გაიფიცნენ სოც.-დემ. ფრაქციის გასამართლების გამო. მეორე დღეს ქარხნის ადმინისტრაციამ ქარხანა დაკეტა და მუშები დაითხოვა. დაარჩინეს მხოლოდ 700-მდე ერთგული მუშა, რომელნიც 22-ს მუშაობდნენ.

**◆ გერარდის გასვლა სამსახურიდან.** ფინლიანდიის გენ.-გუბერნატორმა გერარდმა 29 ნოემბერს სამსახურიდან გასვლის თხოვნა შეიტანა. მიზეზი ის არის, რომ მას თანაშემწედ დაუნიშნეს, მის დაუკითხავად, ბობრიკოვის მარჯვენა ხელი გენ. ზეინი.

**◆ გადასახლება.** პარიზის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორს შებალდაევს ბრალად ედებოდა ბეჭდვითი სიტყვით შეურაცხყოფა ხელმწიფისა. ამის გამო სასამართლომ მას მიუსაჯა ღირსება-უფლების ჩამორთმევა და ციმბირში გადასახლება. შებალდაევმა საქმე უმაღლეს სასამართლოში გადაიტანა, მაგრამ მისი საჩივარი უყურადღებოდ დასტოვეს და განაჩენი დაამტკიცეს.

# დეპეშა

—

**თეირანი.** მეჯლისის მიერ მიღებულ რეზოლუციასთან ერთად ხალხშიავრცელებენ მოწოდებას, სადაც ნათქვამია, რომ შაჰი ისეთ ხალხის გავლენის ქვეშ იმყოფება, რომელთაც სურთ კონსტიტუციის გაუქმება და ძველი რეჟიმის აღდგენა. მოწოდება სთხოვს მთელი ქვეყნის ერებს, დაეხმარნენ სპარსელებს მათი უფლების დაცვის საქმეში. საქმე გამწვავდა. მეჯლისმა შახს სთხოვა მოედანზე მეკრებილ ხალხის გაფანტვა. შახმა მიუგო: ჯერ მეჯლისთან შეკრებილი ხალხი დაშალეთ და კრება შესწყვიტეთო. ორივე მხარეს ხალხი ემატება.

**ლონდონი.** თეირანიდან იუწყებიან, რომ ალაუდ-დოულე და მისი ძმა დააპატიმრეს. მინისტრ-პრეზიდენტს ნება მისცეს ევროპაში გასვლისა.

ინგლისის საელჩომ დრაგომანი მიუგზავნა შახს და სთხოვა უზრუნველყოფა მინისტრ-პრეზიდენტისა, რომელიც ითვლება ინგლისის ერთ-ერთ ორდენის კავალრად. მინისტრ-პრეზიდენტი და სხვა მინისტრები გაანთავისუფლეს. პრეზიდენტი უკვე გზას გაუდგა. იგი ევროპაში მიდის.

ჯერ გამორკვეული არ არის, ვის დანიშნავს მინისტრად შახი. დღეს თეირანში რამდენიმე შეტაკება მოხდა. ბევრი დააპატიმრეს.

**ვარშავა.** ლოძის მეწარმეთა თხოვნით პოლიცია გაძლიერდება. ამიერიდან 700 პოლიციელი და 100 ცხენოსანი ზედამხედველი იქნება.

**ბირმინგამი.** ამას წინად ვირგინიის შტატში მაღაროებში აფეთქება მოხდა. დაიღუპა 600 მუშა. ეხლა აფეთქება მოხდა ალაბამის შტატის მაღაროებში. დაიღუპა 70 კაცი.

**ჰონკონგი.** მრავალი მიტინგი მოხდა. დაადგინეს ბოიკოტი გამოუცხადონ ინგლისურ საქონელს, თუ სიცზიანიდან ინგლისის სამხედრო გემები არ წავლენ.

**პარიზი.** პოლიციელებმა ფალანიკის ცერემონიაზე სამხედრო ნაწილები ჩაყენეს. ფიცხელი ჯარი რაზმი აიღო აისოსის ბაზარი და ბაღები. მარტოკულები უკან სწევენ. ორი სოფელი ზარბაზნებით დაანგრიეს. ფრანგებს 13 კაცი დაუჭრეს.

**თეირანი.** მეჯლისთან ხალხი იკრიფება და იარაღს ისხამს. მეჯლისის მოწინააღმდეგენი სხვა მოედანზე იკრიბებიან. მეჯლისმა გადასწყვიტა დეპუტაციის მაგივრად შახს წერილობითი მიკითხვა გაუგზავნოს.

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „ისრის“ ოქტომბრის ერთ-ერთს ნომერში დაიბეჭდა ერწოდან წერილი, რომელშიც ავტორი ბ-ნი კოლიკე ასწერს ჩემს მოქმედებას: ვითომ მე ხალხი გამეყვლიფოს, კოდის პური ამელოს, გირაოები მელოს და ჩაფრები, ნაცვლები მიმესიოს ხალხისთვის, კავშირი მქონოდეს პოლიციელებთან და სხვა. ყოველივე ეს მტკნარი სიცრუეა. ამას თვით ხალხი დაამტკიცებს. როდესაც ხალხმა გაიგო, რომ ჩემზედ გაზეთში იყო გამოცხადებული, ვითომ მე იმათ ვწუხებდე, ზიზღით და კრულვით მოიხსენიეს იმისი დამწერი და აპირებდნენ «პრიგოვორით» გამოპასუხებას, მაგრამ, რადგან მე პასუხი გამოვგზავნე ფოსტით რედაქციაში, იმას მოუცდინეს. რაც შეეხება პოლიციელებთან მოკავშირეობას და იმათთან ცუნცრუცს, როგორც ეს იყო ნათქვამი „ეშმაკის მათრახ“-ში, საკმარისია ჩემთვის ერთი უბრალო საბუთი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, აქ რაღაც პირადი ანგარიშებია და თუ კოლიკე ინებებს თავის ვინაობის გამომჟღავნებას, მაშინ მიზეზსაც მოგახსენებთ.

**მღვ. გ. ნახუცრიშვილი.**

—

**(პასუხად ბ-ნ გოგებაშვილს)**

გაზ. „ისარის“ მე-264 №-ში დაბეჭდილი იყო ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის წერილი, რომელშიაც ავტორი ამბობს, რომ მე ჩემის განსვენებული ქმრის ნიკოლოზ ხიზანაშვილის შემდეგ, ვითარცა მის მეუღლეს, დამრჩა „მოზრდილი პენსია“ და «ბლომა თანხა», ამიტომ მავალება გამოვცე მისი ნაწარმოებნი. კეთილი რჩევაა და საუკეთესო სურვილი. შევასრულებ კიდევ ამ დავალებას, თუ ბ-ნი გოგებაშვილი მიჩვენებს, სად არის ეს «ბლომა თანხა» და «მოზრდილი პენსია». პენსია ჯერაც არ მიმიღია და თუ მივიღე, ის საკმარისი არც კი იქნება ჩემი შვილების გამოსაზრდელად. რაც შეეხება „დარჩენილს ბლომა თანხას“, იგი მე სახლში არ დამრჩენია და თუ გოგებაშვილი აღმოაჩენს ვისსამე ხელში ან რომელსამე ბანკში, დიდად დამავალებს. ჩემი ქმრის ნაწერები გაზეთებშია დაბეჭდილი, ეს გაზეთები მე მაქვს შენახული. დაუბეჭდავი დარჩა მხოლოდ ლიპარიტ ორბელიანის ბიოგრაფია, და ის გადავეცი სიცოცხლის დროს ი. ჭავჭავაძეს და ახლაც იმის კაბინეტში ინახება.

**ელისაბედ ხიზანაშვილისა.**

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ბვალიშვილი.**


## განცხადებანი

**ისარგებლეთ შემთხვევით!**

იყიდება სახლი ნაძალადევში, მადისტრალის ქუჩაზე, სახლი მაქაცარიასი, № 165, საკუთარი მიწით 127 ოთხკუთხი საჟენი. სახლი ერთ სართულიანია ხუთი ოთახით. (4—476—2)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**დ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აველიჩიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუგანლოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ქ. ი. გმულაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. უმერბანინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ზ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(ხალ.—174)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 10 დეკემბერს 1907 წელს შუადღის 12 საათისათვის, გამგეობის სადგომში, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა: 1. ქალაქის ნავი ვერის ხიდს ზემოდ სატიოზე; 2. ქალაქის რიყე იქვე და 3. ქალაქის რიყე ნიკოლოზის ხიდს ზემოდ.

პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში, ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, 10 დან 3 საათამდე (3—6.—3)

მასწავლებელი

## ქალები

იყვანენ მოწაფეებს მოსამზადებლად, ამეორებინებენ გაკვეთილებს როგორც სახლში, ისე თავიანთთან, აგრეთვე იყვანენ პანსიონერებად ან ნახევარ პანსიონერებად.

**ადრესი:** ავლაბარი, მარტყოფისა და აბსერვატორიის ქუჩების კუთხეში. დილის 8—2 საათამდის. (10—7)

კონდოლის სახაზინო სანერგე ამერიკულ

## ვაზისა კახეთში

აცხადებს, რომ იმათ, ვისაც სურს იქონიოს დამყნილი ვაზი, უნდა დაიკვეთოს წინ და წინვე პირველ თებერვლამდე. დაკვეთილ ვაზს მიიღებენ შემოდგომაზე. დარიგებას სამყნობის ასარჩევად მსურველნი მიიღებენ სანერგეში და უფროსს აგრონომთან.

ადრესი სანერგესი: „Телавъ Кондольскій питомникъ“. ადრესი უფროს აგრონომისა: „Тифлисъ. Канцелярія Уполномоч. Земледѣлія. уголъ Чавчавадзевской и Грибоѣдовской ул. № 1—19.

(2—465—2)

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილერის თხზულება

## ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი“-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპიკად. (0—6.—15)

## ქალაქ ფოთში

ლაზარევის ქუჩაზე იყიდება 1000 მანეთად ადგილი, მიწა ზომით 260 ოთხკუთხ. საჟ. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება: ტფილისის სადგურზე, „до востребованія И. Т.“

(5—457—5)

## საგანგებო ომნიბუსი

**მალაკანისა**

ტფილისიდან სიღნაღამდინ სიარულს იწყებს დეკემბრის 5 დან.

კანტორა ავლაბარში, მეიდანზე, არტემ პოლოსოვის დუქანში. (3—470—4)

## შეშის საწყობი

**ალექსანდრე გაჩეჩილაძისა**

იყიდება ბლომად და საქონლის ფასად ყურმიდან ჩამოტანილი რცხილის, წიფლის და თხმელის შეშა ... ამასთანავე მსურველნი შეუძლიან იყიდონ სათორნე შეშაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, № 15, მუხრანსკის ეზოში. (4—467—3)



ყველაზე გაუმჯობესებული ნავთით გასაღუებელი

**ს ა ნ ა თ ი**

## „პრაქტიკუსი“

უბრალო და მოხერხებული.

ენთება საოცხოვრო ძალით და ამასთან ხმაურობა არ იცის. დიდი ეკონომია: 1 გირ. ნავთი ანთია 8 საათს. ენთება ადვილად, სწრაფად ანათებს. უდგება თითქმის ყველა ჩვეულებრივ ლამფ ს. კომპლექტი თავის შუშით ღირს 4 მან. იყიდება კ. ბობილევთან, ტფილისი, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (3—ხალ.—1)

## ბაღი და სანერგე ავსარქისოვისა.

იყიდება მეტად ხელმისაწვდენ ფასად საზღვარ-გარეთულ, რუსულ და კავკასიურ ჯიშის ხეხილის ხეები. კატალოგები მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

ადრესი: Скра. Ст. З. Ж. Д. Авсаркисову. (20—359—19)

## ხიმშიაშვილის და

**დიასამიძის**

მამულში საბურთალოსთან, ვერაზე იყიდება მიწები, დაყოფილი ნაჭრებად 24, 40 და 70 კაპ. საჟენი წლის გადახდის ვადით.

სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურის სახლი, № 153 **მაჭავარიანი, გელოვანი.** (10—438—6)

## აბანო

ქუთაისის მახრა, სოფ. ნაქვაში, ტყიბულის რკინის გზის პლატფორმიდან ოთხი ვერსის მანძილზე, სანაქებო გოგირდის წყლისა, ოთხი აუზით, რვა ოთახით თვისი მოწყობილობით იძლევა იჯარით **ხელსაყრელს ფასში,** შეიძლება გაყიდვაც. ადრესი: ქუთაისი კაზაკოვის ქუჩა, მახულიას სახლები, ვერა უგრეხელიძე. (6.—6.—6)

აქციონერთა საზოგადოება „გრამოფონი“

## ტფილისის განყოფილება

**გოლოვინის პროსპექტი, № 9.**



გრამოფონი პირველია, როგორც

მოდისა და თან საუკეთესო საჩუქარი,

რისთვისაც მზადა გვაქვს მომავალ

## შობის დღესასწაულისათვის

ჩვენის წარმოების საქონელი და ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას მობრძანდნენ საზოგადოების მაღაზიაში: გოლოვინის პროსპექტი, № 9 და დარწმუნდნენ, რომ გვაქვს დიდძალი **ახლად გამოშვებული აპარატები, უკანასკნელ კონსტრუქციისა, მკვიდრის მექანიზმით** სულ ახალ მოდელებისა და ყოველგვარ ასორტიმენტით. **ფ ა ს ე ბ ი** გადაჭრილია რუსეთისა, კავკასიისა და კასპიის იქითა მხრისათვის. ვინც სხვა ფირმის ფირფიტებს ყიდულობს, ზარალობს. მრავალ წელთ აგანმავლობაში შეძენილ რენომეს შესარჩენად ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს არა თუ საუკეთესო საქონელი მივაწოდოთ საზოგადოებას, არამედ, **მოლაპარაკე მაშინის** მოყვარულთა და მეგობართა ინტერესების დასაცველად, უნდა გავაფრთხილოთ კიდეც, რომ ყალბი მაშინები არ შეიძინონ სხვა ფირმებისა, მაგალითად ახალ საზოგადოების მელიდოფონისა. დიდი განსხვავება მელიდოფონის და ჩვენის ფირმის ფირფიტებ შორის ყველასათვის თვალსაჩინოა. სიტყვა „**გ რ ა მ ო ფ ო ნ ი**“ შემკრებელობითი სახელი კი არ არის, არამედ საკუთარი **პატენტიანი** სახელია ჩვენის ფირმის საქონლისა. სიყალბის თავიდან ასაცილებლად ვაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმას, რომ ჩვენ ნაწარმოებ საქონელს აქვს ჩვენი საფაბრიკო ნიშანი.

TRADE MARK "GRAMMOPHON"

გრამოფონი ოჯახში **არა** მარტო გამრთობია, **არამედ აღმზრდელიც.** უნდა ეძებდეთ **ლირსებას** და არა **სიიაფეს.**

მსურველებს შეუძლიანთ მობრძანდნენ მაღაზიაში (გოლოვ., 9) გრამოფონების გამოსაცდელად. კატალოგები და ფირფიტების სია უფასოდ. გვაქვს ფირფიტები სომხურ, ქართულ, სპარსულ-თათრულ და სხვა ენებზე.

საგანგებო ყურადღებას იქცევს განთქმულ მომღერლების ფირფიტები: **ადელინა პატის, მელბასი, ბორონატის, ცელესტინა ბონისენისა, ზემბრიხის, არნოლდსონის, კურცის, ფიგნერის, ბატისტინის, სობინოვის და სხვათა.** (15—768—1)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.